მერკანტილისტები და ფიზიოკრატები- რომელი უკეთ გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს?

XVIII საუკუნე ევროპის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ამ პერიოდში სწრაფად იცვლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, ვითარდებოდა ქალაქები, ვაჭრობა და წარმოება. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეკონომიკამ, რადგან სახელმწიფოს ძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა დიდწილად დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ როგორ იყო მოწყობილი ქვეყნის ეკონომიკური სისტემა.

ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმდინარეობა: მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია. ორივე მათგანი ცდილობდა დაედგინა, რა არის სიმდიდრის მთავარი წყარო და როგორ უნდა წარმართულიყო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

მერკანტილიზმი არის ეკონომიკური თეორია, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს ვაჭრობას უკავშირებს. მისი ძირითადი იდეაა, რომ მდიდარი სახელმწიფო არის ძლიერი სახელმწიფო. მერკანტილისტების აზრით, ქვეყნის სიმდიდრე განისაზღვრება ოქროსა და ვერცხლის მარაგით, ამიტომ მთავრობამ უნდა წარმოადგინოს პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას.

სახელი „მერკანტილიზმი“ მოდის ინგლისური სიტყვის Merchant, რაც ვაჭარს ნიშნავს. ეს ასახავს თეორიის არსს: ეკონომიკა ვაჭრობის გარშემო უნდა განვითარდეს, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია ქვეყნის სიმდიდრის და ძლიერების უზრუნველსაყოფად.

მერკანტილიზმის მთავარი მახასიათებლებია:

სიმდიდრე განისაზღვრება ოქროსა და ვერცხლის მარაგით;

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ექსპორტის ზრდასა და იმპორტის შემცირებას;

სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ პროცესებში;

ეკონომიკური სისტემა ემსახურება სახელმწიფოს ძლიერებას და უსაფრთხოებას.

მერკანტილიზმი ხელს უწყობდა ვაჭრებისა და მონარქიული ელიტის სოციალურ და კულტურულ კაპიტალის დაგროვებას, თუმცა ზღუდავდა ინდივიდების თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობას, რადგან ეკონომიკა უმეტესად სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა.

დადებითი მხარეები:

ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ქალაქების განვითარებას;

აძლიერებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას.

უარყოფითი მხარეები:

ზღუდავდა ინდივიდუალური პირების თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობას;

ეკონომიკა უმეტესად სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა.

ფიზიოკრატია არის ეკონომიკური თეორია, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს მიწასა და მიწათმოქმედებას უკავშირებს. მისი მთავარი იდეაა, რომ სიმდიდრე წარმოიქმნება მხოლოდ მიწის შრომით, ხოლო ვაჭრობა და მრეწველობა მხოლოდ პროდუქტის გადანაწილებას ახდენს. ფიზიოკრატები მხარს უჭერდნენ თავისუფალ ეკონომიკას და მიაჩნდათ, რომ სახელმწიფომ უნდა შეამციროს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში.

ფიზიოკრატიის მთავარი მახასიათებლებია:

სიმდიდრე წარმოქმნილია მიწის შრომით;

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მინიმალურია;

თავისუფალი ვაჭრობა;

ხელს უწყობს ინდივიდის თვითაქტუალიზაციას.

დადებითი მხარეები:

ხელს უწყობდა ადამიანის თავისუფლებას ეკონომიკაში;

მხარს უჭერდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და დამოუკიდებელ მუშაობას.

უარყოფითი მხარეები:ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მრეწველობასა და ქალაქურ ეკონომიკას.

ხელს უწყობდა ადამიანის თავისუფლებას ეკონომიკაში;

მხარს უჭერდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და დამოუკიდებელ მუშაობას.

უარყოფითი მხარეები:

ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მრეწველობასა და ქალაქურ ეკონომიკას.

შედარება:

მერკანტილიზმი ემსახურებოდა მონარქიული სახელმწიფოს ინტერესებს: ვაჭრობის კონტროლი, სიმდიდრის დაგროვება, სახელმწიფო ძლიერების გაზრდა;

ფიზიოკრატია გამოხატავდა საზოგადოების პროგრესულ ინტერესებს: თავისუფალი ეკონომიკა, ადამიანის თვითაქტუალიზაცია, სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა.

ორივე მიმდინარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XVIII საუკუნის ეკონომიკაზე, ეკონომიკურ სისტემასა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ასევე სოციალურ და კულტურულ კაპიტალზე.

დასკვნა:

XVIII საუკუნის ეკონომიკური იდეები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მდგრადობა და მოსახლეობის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით, არამედ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობით და ინდივიდების შესაძლებლობებით. მერკანტილიზმი ხაზს უსვამდა ვაჭრობისა და სახელმწიფო კონტროლის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის ძლიერებას, თუმცა ზოგჯერ ზღუდავდა პიროვნების თვითაქტუალიზაციას. ფიზიოკრატია, პირიქით, ამახვილებდა ყურადღებას მიწისა და სოფლის მეურნეობის წარმოების როლზე და ინდივიდის თავისუფლებაზე ეკონომიკაში. ორივე მიმდინარეობამ წვლილი შეიტანა ევროპული ეკონომიკის განვითარებაში და განსაზღვრა, როგორ უნდა წარმართულიყო ეკონომიკური პოლიტიკა, როგორ ვითარდებოდნენ ეკონომიკური სისტემა, სოციალური და კულტურული კაპიტალი და ინდივიდის შესაძლებლობები საზოგადოებაში.

მარიამ ჩიტაიშვილი